



პრეზიდენტი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/485

ქ. თბილისი

13 02 2020წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და „ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის“ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს დოქტორანტ თეიმურაზ ირემაშვილის (პირადი ნომერი 01019016082) დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც 2016 წლის 12 ოქტომბრის №3444/05 ბრძანებით ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „ფინანსებზე“ და შემდგომ 2018 წლის 21 მაისის №01-09-14/1126 ბრძანებით მობილობის წესით ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირებაზე“ და არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება. სადისერტაციო თემა: „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა და მისი ოპტიმიზაციის გზები“. სამეცნიერო ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორი ნანა შონია; რეცენზენტები: პროფესორი გიორგი ცაავა (სტუ), ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე (თსუ).
2. დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 26 თებერვალს 15:00 საათზე სტუ-ის VI კორპუსის 710ა ოთახში.

რექტორი

*[Handwritten signature]*

არჩილ ფრანგიშვილი

0048